№ 113. 4 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1881 4 ივნისი, ხუთშაბათი. № 113.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭუმბაძესთან ხილაძეზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ.; ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## ძმანი ქ. და ს. პაპოვები

(მოსკოვში)

პატივი გვაქვს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ამა წლის 2 ივნისს გაიხსნა ჩვენი მაღაზია თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში, სადაც ნარდათ და წვრილ-წვრილათ გაისყიდება ჩვენის ფირმის ჩაი, აწონილი ჩვენის ზედამხედველობით ჩვენს მოსკოვის მთავარს მაღაზიაში.

ჩაის გარდა მაღაზიაში გაისყიდება აგრეთვე ყავა და შაქარი. (5—5)

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-რიხოს ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 30 მაისს. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ გაზ. ბოლოსში მოყვანილი ამბავი, სარატოვში მომხდარს უწესოებაზედ, ტყუილია.

**კორკ** (ირლანდია), 30 მაისს. ხალხსა და პოლიციას შუა აქ შეტაკება მოხდა, რომელიც დაღამებამდინ არ შეწყვეტილა; ბევრი დაჭრილებია.

**ლივერპული**, 30 მაისს. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედ პირებს განუზრახავთ აქაურ რატუშის აფეთქება თოფის-წამლით. ერთი კარები ამ შენობისა გაფუჭებულია. ამ საქმის თაობაზე ორი ირლანდიელი დაიჭირეს.

**პეტერბურღი**, 2 ივნისს. გუშინ პეტერბურღში მოვიდა სერბიის მთავარი მილანი რომელსაც დიდის პატივით მიეგებნენ. საზამთრო სასახლეში ჩამოხტა. მოსვლის უმალვე წავიდა პეტრე-პავლეს სობოროში, სადაც ვერცხლის გვირგვინი დაადვა მიცვალებულ იმპერატორს სასაფლაოს და იმპერატრიცისას ცოცხალ ყვავილებისა; აქვე პანაშვიდი გარდაიხადა. დღეს გაჩინოში წავიდა ხელმწიფესთან გამოსაცხადებლად.

**პეტერბურღის ბირჟა**, 2 ივნისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა | 96—75 |
| მეორესი | 94—62 |
| მესამესი | 94—50½ |
| მეოთხესი | 94—50 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 93—12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 93—12 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92—87½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—9 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის | 225—50 |
| მეორე სესხის | 218—50 |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 24—43 | პენსი |
| ბერლინი | 123— | „ პფენიგი |
| ჰამბურღი | 209—25 | ცენტი |
| პარიჟი | 258— | „ სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — | — |

## თფილისის სამოქალაქო რჩევა.

(დასასრული *)

სეკრეტარმა წაიკითხა მოხსენება კამისიისა, რომელიც აპრილის ტაქციის განსახილველად და საზოგადოთ ხორცის გაიაფების თაობაზედ იყო რჩევისაგან დანიშნული. მოხსენებიდამ სჩანდა, კამისიას რამდენიმე სული ხარი, ძროხა და ცხვარი დაუკლავთ, აუწონიათ ხორცი, გამოუანგარიშნიათ და დარწმუნებულან, რომ აპრილისთვის განმაველობაში გამგეობას, რაც ტაქცია იყო დანიშნული, იმაზე ნაკლების დანიშვნა არ შეეძლოვო.

კრებამ ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, მევანგულოვის წინადადებით, გარდაწყვიტა: რჩევის ნდობა გამოეცხადოს გამგეობას და ამასთანავე ყველა ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდოს ხორცის კამისიის მოხსენება, რათა ქვეყანამ გაიგოს, რომ ტყუილი ჩივილი იყო გამგეობაზე და ხორცის სიძვირე იმის ბრალი არ იყო.

შემდეგ, რიგით, სეკრეტარს უნდა წაეკითხა ბ-ნი პოლტარაცკის წინადადება, რომლითაც ის თხოულობდა, რომ ხმოსან ნ. დ. ზუბალოვს, რჩევისა და გამგეობის შეურაცხყოფისათვის, რჩევამ განკიცხვა გამოუცხადოს. მაგრამ, სანამ ამ წინადადების წაკითხვას შეუდგებოდნენ, ბ-მა ზუბალოვმა მოითხოვა წაკითხულ იქმნას სტატიები „სამოქალაქო წესდებიდამ“, რომლიდამაც სჩნდა, რომ რჩევას აქვს უფლება მხოლოთ კამისიებს გამოუცხადოს უკმაყოფილება და ქალაქის თავს შეუძლიან განკიცხოს ხმოსანის მოქმედება, თუ ის არ ემორჩილება იმის განკარგულებას.

ზუბალოვი. ამ მუხლებიდამ სჩანს, რომ რჩევას არავითარი უფლება არა აქვს განკიცხოს თავის ამხანაგის მოქმედება. ეს უფლება მხოლოდ ქალაქის თავსა აქვს, ისიც მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ხმოსანი წესს არღვევს და თავს-მჯდომარის განკარგულებას ეწინააღმდეგება. ჩვენ რომ ერთმანერთის განკიცხვა დავიწყოთ ხვალიდამვე დავიწყებ წინადადებების შემოტანას, რომ ეს-და-ეს ხმოსანი განკიცხოთ და სად წავა საქმე, რა ბოლო ექნება ამ გვარ მოქმედებას? ამის გამო, ჩემის აზრით, რჩევამ ყურადღებაში არ უნდა მიიღოს ბ-ნი პოლტარაცკის წინადადება.

იზმაილოვი ამტკიცებს, რომ, სენატის გარდაწყვეტილებით, რჩევას აქვს უფლება, რომ ხმოსანს საყვედური და განკიცხვა გამოუცხადოს; რჩევას შეუძლიან განკიცხოს კამისიის მოქმედება; ბ-ნი ზუბალოვი კამისიის წევრი იყო, მაშასადამე რჩევა თავის უფლებას არ გადასცდება, თუ იმას განკიცხვას გამოუცხადებს.

მევანგულოვმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ, მართალია, ბ. ზუბალოვმა ბევრი ისეთი წინადადება შემოიტანა და ბევრი ისეთი სიტყვები სთქვა, რომელიც გამგეობისა და რჩევის შეურაცხყოფად ჩაითვლება, მაგრამ, ჩემის აზრით, ამისთვის ჩვენ იმას განკიცხვა არ უნდა გამოუცხადოთ, რადგან იმის

*) „დროება“, № 112.

---

«დროების» ფელტონი, 4 ივნისს.

## მოგზაურობა კახეთში

ამ 4 აპრილს მე და ჩემი ერთი მეგობარი გავემგზავრეთ თელავისკენ. იყო დილის რვა საათი. დღე ავდრიანი და წვიმიანი. ავლაბრიდგან გავედით და დავადექით ერთ ძველებურ გზას, უკეთ ვსთქვათ ბილიკს, რადგან ამ გზაზედ დაიარება მხოლოთ ქვეითი და ცხენიანი მოგზაური, ურემს გავლა არ შეუძლია.

ამნაირი გზები გავიარეთ (შვიდი თუ ექვსი ღელე შევხვდა) და მივადექით ერთ გვერდას; მაღლა რომ ავედით, ჩვენ წინ გაიშალა ვრცელი ლილოს მინდვრები. პატარა ხანს აქ გავჩერდით. უკან, თფილისისაკენ, მოჩანდა დიდებული პანარამა: მთელი თფილისი, რომელსაც მაღლიდგან ლამაზად დაჰყურებდა მთაწმინდის ეკლესია; მოჩანდა ანკარა, მოდუდუნე მტკვარი, რომელიც ყარაიის მინდორში თეთრად ანათებდა. მოისმოდა ნელი ხმაურობა ქალაქისა.

მივუბრუნდით ახლა ლილოებს: შორს მოჩანდა პატარა უტყეო, ბალახიანი გორის სერი. ამ გორების ძირში მარცხენა მხრით მოჩანს პატარა ლილო და მარცხენათი დიდი-ლილო. სახლები კრამიტით დახურულები და საკმაო მოზდილი თეთრად გალესილი ეკლესია მაღლა აღმართულიყო.

იქ, სადაც ჩვენ ვიდექით და ვშინჯავდით არე-მარეს, ეყარა მრავალი კირიანი ქვები და დიდი კონცხები ქვიშისა, კირისა და ქვიშისაგან შემდგარი. ალბათ აქ უწინ იყო ციხე. ეს ადგილი სწორეთ საციხე ადგილია; ეს ციხე იფარავს მტრის შემოსევისაგან, როგორც აქეთურ მხარე თფილისამდე, აგრეთვე იქითურს ვიდრე ლილოებამდე.

აქედან გავემგზავრეთ ახალ-სოფლისაკენ (ქლდის წყარო) მთის ძირში მოჩანს მარტყოფი (მარტ-მყოფი) წმ. ანტონის ადგილ სამყოფელი, მშვენიერს და მაღალს ადგილას; აქაიქ მოჩანს გორებზე ბუჩქები. მინდვრები აბიბინებული მწვანეთ, ბალახი და ყანები კარგა გაზდილა. ის იყო ვენახს ჰსხლავდნენ და ჰყელავდნენ. ახალ-სოფელი მაღალს და გაშლილს ადგილს არის მოშენებული. შიგ შუა სოფელში დგას დიდი ეკლესია, სადაც მოძღვრად იმყოფება ჭკვიანი და დროს შესაფერად განათლებული მამა კანდელაკი. მთელი სოფელი ბაღებშია ჩაფლული და ატმის ყვავილს წითელი ტანისამოსი შეუმოსავს.

ახალ სოფლის დუქნის პატრონი იმავე დროს ყოფილა აგრეთვე დიაკვანიც. სასულიერო წოდების კაცი და მიკიტანი!

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენს გზას გაუდექით. ორიოდე აღმართ-ჩაღმართები ავიარ-ჩავიარეთ, ავედით ერთ მოზრდილ გორაზე და გადავიხედეთ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ: ჩვენ თვალ-წინ წარმოგვიდგა ერთი გარდაშლილი ქვაბივით ადგილი, სადაც გადაჭიმულიყო, ახლა სოფელი, უწინ დიდი ქალაქი უჯარმა (უჯარიმო).

უჯარმა აშენებულია 300 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე მეფის საურმაგისაგან მდ. იორის მარჯვენა ნაპირზე. წმიდა ნინომ რომ მოაქცია მეფე მირიანი, გამოემგზავრა კახეთისკენ, მოვიდა ამ ქალაქში; აქ მაშინ იყო მმართველი უჯარმასი სალომე, რომელიც ნინომ აგრეთვე მოაქცია ქრისტიანულ რჯულზე. მეფე ვახტანგ გორგ-ასლანმა მე-V საუკუნეში გაამაგრა ქალაქი და განაახლა სალომესგან აგებული ეკლესია. ვახტანგს ძალიან უყვარდა ეს ადგილი სიმაგრისა გამო.

სპარსეთის მეფე ყობადი რომ შემოესია საქართველოს, ვახტანგმა გაამაგრა მცხეთა ჯარებით, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება, როგორც ხმოსანისა, უეჭველია, სასარგებლო იყო ჩვენთვის. ამისგამო ჩემის აზრით, ისიც საკმაოა, რომ ჩვენ დღეს რჩევას ჩვენი სრული ნდობა და რწმენა გამოუცხადეთ.

ელიმირზოვი გაცხარებით ამტკიცებს, რომ ზუბალოვი მავნებელი წევრია ჩვენიო; იმას თითქო ჩვენი თვითმართველობის დაღუპვა ჰსურსო, ისე მოქმედებსო, ყველგან ჩვენს დამცირებას და ცუდი ხმების გავრცელებას ცდილობსო. პატიოსანი და ზნეობიანი წარმომადგენელი ქალაქისა ასე არ უნდა იქცეოდესო...

ზუბალოვი. ბ. ელიმირზოვს ურჩევ, პატიოსნებაზე და ზნეობაზე ლაპარაკს ნუ დაიწყებს...

ელიმირზოვი. მე ვიცი—რაზედ გადაჰკრა ბ. ზუბალოვმა: შიოევის ანდერძზედ ამბობს; მაგრამ მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ამ საქმეში არავითარი უპატიოსნება არ მიმიძღვის: ოც-და-ათი წელიწადი ვემსახურებდი სახელმწიფო სამსახურში, მიმსახურნია საზოგადოებისათვის და კერძო პირებისათვის, და ერთს ჩირქსაც ვერ ნახავთ ჩემს პატიოსნებაში...

ზუბალოვი. სიტყვის ნებას ვთხოულობ!

ქალაქის თავი. ბრძანეთ.

ზუბალოვი. მე მინდა ერთი წინადადებაც შემოვიტანო და იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც ვერავინ მეტყვის, რომ ეს ჩემი სიტყვა უსაფუძვლო და დაუმტკიცებელი იყოს. ქალაქის გამგეობის ერთს წინადადებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ვითომც მე გადმებდე ქალაქის მცხოვრებლებს ქალაქის თვითმმართველობის წინაამდეგ. ამ გვარი ბრალდება და ცილის-წამება ეკადრება მხოლოთ პოლიციის მოხელეებს, მხოლოთ ზადუნოვისა და იოანნე მრისხანეს დროინდელ პრიკაზნებისა და სისჩიკების საკადრისია. ეს საძაგელი დაბეზღება, რომელსაც ციმბირი მოსდევს... და ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ ამ გვარ საძაგელ მოქმედებისათვის რჩევამ თავის ზიზღი (**презрѣніе**) გამოუცხადოს ქალაქის გამგეობას!..

რჩევაში შეიქნება ხმაურობა და მოძრაობა. ელიმირზოვი „შშიო“ იძახის. მხოლოთ გამგეობა ხმას არ იღებს. ქალაქის თავის პირის-სახეზედ მწარე ღიმილია გამოხატული...

ცოტა ხანს შემდეგ რჩევაში სიჩუმე ჩამოვარდება და ზოლტარაცკი გამოაცხადებს, რომ რადგან დღევანდელმა სხდომამ გამგეობას თავის სრული ნდობა გამოუცხადა და ეს არის პასუხი ბ. ზუბალოვის მოქმედებისა, ამის გამო უკან მიმაქვს ჩემი წინადადებაო.

ზუბალოვი უკანასკნელად წამოდგება და ამბობს: თქვენს ნახირში ერთი ქეციანი ცხვარი შემორეულა... გირჩევთ სულ გააგდოთ ის აქედამ!.. ახლა კი სამის თვით მშვიდობით!..

სხდომა გათავდა მეთორმეტე საათზე.

## ახალი ამბები.

—

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო შემდეგი განაჩენი თფილისის გუბერნიის საეპარქიო სამღვდელოთა ყრილობისა:

„სთხოვენ მისს მაღალ უოვლადუსამღვდელოესს საქართველოს ეგზარხოსს იოანიკეს, რათა მან იშუამავლოს წინაშე უწმინდესის სინოდისა რომ საქართველოს ყველა სასულიერო სასწავლებლებში მომატებულ იქმნეს ქართულის ენის გაკვეთილები და საეკლესიო ქართული გალობისა და ოთხი სტიპენდიატი მაინც იქმნეს უოველ-წლივ გაგზავნილი სასულიერო აკადემიებში თფ. სასულიერო სემინარიიდამ.“

ჩვენ შევიტყეთ, რომ ყველა ამ გარდაწყვეტილებაზე მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს იანნიკის სამღვდელოთა კრების თავ-მჯდომარისათვის უარი გამოუცხადებია, და ამ უარის საფუძვლად ის მოუყვანია, რომ საეკლესიო ხაზინას მატერიალური შეძლება (ფული) არა აქვსო, რომ ეს თქვენი მოთხოვნილება შეასრულოსო; თუ გსურთ, წყარო მონახეთ ქართულ ენის და გალობის მასწავლებლის ჯამაგირისათვის, სემინარიაში კურსს-შესრულებულ ყმაწვილების აკადემიაში გასაგზავნელად და მაშინ შეიძლება თქვენი სურვილის აღსრულებაო.

ამ საყურადღებო საგანზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

***

„მოსკოვის უწყებაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი პეტერბურღიდამ:

„კავკასიის მხრის მთავარ-მართებელად და იქაურ ჯარის უფროსად, როგორც ისმის ინიშნება ღენ.-ადიუტ. თ. დონდუკოვ—კორსაკოვი.“

***

ერევნისა და განჯის (ელისავეტოპოლის) სავაჟო პროგიმნაზიები გიმნაზიებად გადაკეთდებიან.

***

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ბათუმიდამ გამოგზავნილი ტელეგრამმა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ 31 მაისს იქ დაბრუნებულა ასი ოჯახი აჭარლებისა, რომელნიც ოსმალეთში იყვნენ გადასახლებულნი, და ბათუმის ღუბერნატორს სმეკალოვს მიუღია ისინი.

ამავე გაზეთის სიტყვით, ბათუმიდამ ციხის-ძირამდინ (15 ვერსი) რკინის გზის მიწის მუშაობა გათავებულიაო.

***

ზემოხსენებულსავე გაზეთში დაწვრილებით აწერილია დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოოზის-ძის მოგზაურობა ბექათუმნის სტანციიდამ მოყოლებული.

ქუთაისის გუბერნიის სამზღვარზე, ფონის სტანციაზე, დიდ მთავარს მიეგებებიან ბ. ქუთაისის ღუბერნატორი, ქუთ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ადგილობრივი შორაპნის მაზრის უფროსი, ხალხი და მოსამსახურე პირები.

შორაპანში დახვედრიან მცხოვრებლები, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. წერეთელი, რომელსაც შესხმა მოუხსენებია დიდის მთავრისათვის, და აგრეთვე აქაურ ნორმალურ სასწავლებლის შაგირდები თავიანთ მასწავლებლებით, რომელთაგან ერთს (თოფურიას) აგრეთვე სიტყვა უთქვამს.

ქუთაისში კიდევ უფრო დიდის ამბით მიეგებებიან. რკინის გზის ვაგზალზე უანგარიშო ხალხი ყოფილა მოგროვილი, სხვათა შორის, ძალიან ბევრი ქალები თავიანთ და სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოსამსახურე პირები. მოსვლისათანავე დიდ მთავარს ყველაზე უმალ ჯარების დათვალიერება უნებებია და იმათ გამოთხოვებია, შემდეგ საქალებო გიმნაზიაში წაბრძანებულა და აქედამ ღუბერნატორის სახლში, სადაც საუზმე ჰქონია დამზადებული. ნაშუადღევის მესამე საათზე დიდი მთავარ გამოთხოვებია ქუთაისს და ისევ რკინის გზით წაბრძანებულა ფოთისაკენ.

ახალ-სენაკში დიდ მთავარს მიეგებებია სამეგრელოს თავად-აზნაურობა და ადგილობრივი მოსამსახურე პირები. აქ სამეგრელოს თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. ბახვა ფალავას უთქვამს იმისათვის ქართულად გამოსათხოვარი სიტყვა.

***

ფოთიდამ, დიდი მთავრის მობრძანების შესახებ, გვწერენ 30 მაისს:

„დღეს აქ დიდ მზადებაში იყვნენ დიდი მთავრის მოსაბრძანებლად: ორი საათით წინ აქაური ვაგზალის მეიდანზედ ტევა აღარ იყო: დიდ-ძალი თავად-აზნაურობა და გლეხობა იდგა, სხვათა შორის გუშინ ბევრი გურიიდგან ჩამოვიდნენ გამოსათხოვრათ. აქვე იდგნენ სავაჟო და საქალებო სასწავლებლების შეგირდები.

უფროსებად დასვა ერისთევები: დიმიტრი, ნერსე და ბივრიტიანი და თვითონ კი გამაგრდა უჯარმაში. ყობადი შამოვიდა საქართველოში, მოაოხრა ქიზიყი, აიღო ჭერმის და ვეღლის ციხეები, მერე მოადგა ვახტანგს. სამ დღეს ბრძოლა არ შესწყდა. ორივ მხრივ მრავალი ჯარის კაცი დაიხოცა. მეოთხე დღეს ვახტანგი შეესია მტერს. თვით მეფე მტრის ჯარის შიგ შუა გულში გაექანა, მოჰკლა შვილი ყობადისა, მაგრამ თვითონაც მძიმეთ დაიჭრა. შუა დღემდის ბრძოლა გაგრძელდა; ბოლოს მტრები გაიქცნენ და ქართველებს დაუტოვეს დიდ-ძალი ალაფი. მაგრამ რამწამ გაიგეს ვახტანგის ჭრილობა, გამხნევდნენ და ხელმეორეთ შეესივნენ ქართველებს და დაამარცხეს. აქედგან სპარსელები გადავიდნენ მტკვარზე, დაანგრიეს თბილისი და არმაზის ციხე; მაგრამ მცხეთა კი ვერ აიღეს. ჭრილობამ ბოლო მოუღო მეფეს და გარდაიცვალა თავის საყვარელ მამულში 499 წელს.

მე-XV საუკუნემდე უჯარმა იყო ვრცელი, მაგარი, სავაჭრო და დიდ-ძალ ხალხით დასახლებული ქალაქი. მართლაც მდებარეობა ამ სოფლისა ისეთია, რომ სწორეთ მაგარი ქალაქი იქნებოდა აქ: უჯარმა აშენებულია ერთ დიდ-ვაკე გორაზე, რომელსაც გარშემო არტყია აგრეთვე გორები— ბუნებითი სიმაგრეები. გარდა ამისა შიგ შუა გულში ამ ვაკე-გორისა აღმართულია თავ-მოჭრილ შაქრის თავივით სხვა გორა და ამის გარშემო დაფენილი ყოფილა უწინ ქალაქი. ეხლანდელი სოფელი კი მხოლოდ ერთის მხრით სძევს.

ეხლანდელი სოფელი აკვირვებს კაცს თავის გარეგნობით: სახლები დაბალია, ზოგი მიწურები, ზოგი ფიცრისა, ეზოები შეერთებული. ერთ ადგილას ეზოსოდენა ადგილზე 20-მდე კომლი დგას და მთელი სოფელი ერთი მოზდილი იმერული ეზოსოდენა ადგილზეა მოშენებული. სახლების წინ და გზების პირებზე ჰყრია ნაგავი; მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს უწმინდურება უფრო მეტად არის დუქნების (აქ სამი დუქანია) წინ.

ხალხს ეტყობა სიღარიბე. აცვიათ დაგლეჯილი, დაძონძილი ტანთსაცმელი. ამავე დროს აქაური ვაჭრები ჩასუქებულან და მდიდრულათ სცხოვრობენ.

აქაურ მცხოვრებლების ზნეობაზე და ხასიათზე დიდი გავლენა აქვს სოფ. მუხრავანში მცხოვრებ რუსებს. სოფელში ვნახეთ სამი ყმაწვილი, რომელნიც სალდათურად დაიარებოდნენ და „ოი მათუშკაო“ მღეროდენ.... სოფ. მუხრავანი სძევს უჯარმას ახლოს იორის პირზე. დიდი ხანი არ არის, რომ რუსები აქ დაასახლეს. სახეში ჰქონდათ, რომ ესენი აჩვენებენ დაუდევარ ქართველებს გონიერად ცხოვრების მაგალითს. მაგრამ მგონი ისინი უფრო კარგ მაგალითებს იღებენ ქართველებისგან, მინემ თვითონ აძლევენ მათ. უჯარმაში რო ვიყავით, 30—40 სალდათი მოსულიყო, შეჰსეოდნენ დუქნებს და ლოთობდნენ; ერთი ორიც ქუჩებში დაბარბაცებდა. აქეთკენვე სიმღერით და კიჟინით გამოიარეს „მათუშკებმა“.

მუხრავანის ახლოს მდებარეებს ხაშმი, წითლად და თეთრად გადაბიბინებულ იყო. პურის ჯეჯილები მშვენიერად ღელავდა. მოისმოდა ჩუმი ხუილი აღელვებულის იორისა. როგორც ხაშმი, ისე მუხრავანი, მშვენივრად მოჩანან უჯარმის სამხრეთის მხრის გორიდგან.

უჯარმის პირისპირ იორის მარცხენა მხარეს არის ეკკლესიების ნანგრევები; აქვე შემომდინარებს იორში პატარა წყალი, რომელსაც ჰქვიან „დამპალი წყალი“. ამ წყლის ხეობაში გორებზე არის მონასტერი „სამება“, რომლის ახლოს არის ეკკლესიის ნანგრევი. მონასტერი არის აგრეთვე იორის მარჯვენა ნაპირზე, უჯარმის ჩრდილოეთის მხრით.

უჯარმიდგან ორი გზა გადადის თელავში. ერთი (მოკლე) ზეღა მთა-

„რკინის გზის სტანცია მშვენიერათ იყო მორთული ტროპიკულ მცენარეებით და ყვავილებით.

„მეშვიდე საათის ნახევარზედ Დიდი მთავარი მობრძანდა კაპწია ქალსავით მორთულ პოეზდით. მაშინვე Დიდმა მთავარმა ინება დათვალიერება მოედანზედ შეკრებილ ჯარის და გურულ თავად-აზნაურობისა. როცა მიაწია თავად-აზნაურობასთან შემდეგი სიტყვები ბრძანა მათ მიმართ:

„მადლობელი ვარ იმ ერდგულებისათვის და იმ ნაყოფიერ ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ არა-ერთხელ დაგიმტკიცებიათ ჩვენ საერთო სამშობლოსა და ტახტისათვის. მე თუმცა გშორდებით: მაგრამ იმედი მაქვს იმ შორ ქვეყანაშიაც, საცა მივდივარ, ყოველთვის სასიამოვნო ამბავს გავიგონებ თქვენზედ. ძიდევ გნახავთ, მაგრამ არა როგორც ნამესტნიკი.“

„მადლობა უთხრა აგრეთვე გურიიდგან ჩამოსულ სოფლის მოხელეთ და მილიციაში ნამყოფს ერთგულებისათვის. შემდეგ წაბრძანდა ბუხტის დასათვალიერებლათ და დაბრუნდა თუ არა იქიდან, ჩაბრძანდა გემში „იაზონში,“ რომელიც აქვე რკინის გზის ნავთ-სადგურზედ დამზადებული იყო; გემი მოცილდა ნავთ-სადგურს ქალების თაიგულების სროლით და ურას ძახილით.

Დიდის ამბით დახვედრიან აგრეთვე სამტრედიაში და Ახალ-სენაკში. Ბახვა Ფალავას უთქვამს Დიდის მთავრისთვის შესხმა.“

## წერილი რედაქტორთან.

Ბატონო რედაქტორო!

Ზნეობითი მოვალეობა ნებას მაძლევს, რომ აღვადგინო სიმართლე იმ საგნის შესახებ, რომელიც თქვენს პატივცემულ „Დროების“ მე-№ 106-შია დაბეჭდილი ერთის Ორპირელის კორრესპონდენტისაგან.

Ზემოხსენებულს „Დროებაში“ ახალი ამბების განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი:

„რამდენიმე წელიწადია, რაც ერთს აქაურს (ორპირელს) სკაპეცს კერძო სკოლა აქვს გამართული და თითქმის სამოცამდინ ყმაწვილი ჰყავს მიბარებული. Თვეში თითო შაგირდს თუმანს ახდევინებს“ და სხ.

Სკოლა, მართალია, აქვს სკაპეცს და მოსწავლებიცა ჰყავს, მაგრამ არა უმეტეს ათის ყმაწვილისა. Სამოცი მოსწავლე მას არა ჰყოლია, არა ჰყავს და არც აწი ეყოლება, ეს იმიტომ, რომ იმ ოთახს, რომელშიაც მოსწავლეები სხედან სასწავლოთ, აქვს სიგძით არა უმეტეს ხუთის არშინისა. Თქვენ თვითონ ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, შეიძლება თუ არა ამისთანა პატარა ოთახში სამოცი მოსწავლის დატევა.

Ტყუილია აგრეთვე ისიც, რომ ვითომ თვეში თვიული მოსწავლესაგან თითო თუმანს ღებულობდეს. Თითო თუმანს კი არ ღებულობს, მანეთ ნახევრიდამ ორ მანეთამდი ართმევს თვეში თითო ბავშვსა; მაგრამ ამასაც ტყვილათ ღებულობს, ამიტომ რომ ბავშვები სწავლის ნაცვლად მახინჯდებიან ზნეობითაც, გონებითაც და ფიზიკურათაც. Აქ სწავლა მიდის სრულებით ანტიპედაგოგიურის და ანტიგიგიენიურის პლანზედ. Ბ. ადგილობრივი პრისტავისაგან ხშირად აქვს ამ სკაპეცს აღკრძალული ბავშვების სწავლა, მაგრამ მალულათ მაინც კიდევ ასწავლის.

Გთხოვთ უმორჩილესათ, ბ. რედაქტორო, დაუთმოთ მცირედი ადგილი ამ ჩემს პატარა წერილს თქვენს პატივცემულის „Დროების“ უმახლობელის ნომერში და, რადგან უწინდელეს კორრესპონდენციის მოწერას მე მაბრალებენ, გამოაცხადოთ რომ იმის ავტორი მე არა ვარ, არამედ სხვაა *).

მარნის სოფ. მასწავლებელი
ი. კაპანაძე

20 მაისს.

*) ვაცხადებთ. რედ.

# ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

## ᲑᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ

„მაჭანკალი“ —ორ-მოქმედებიანი კომედია, თ. ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდამ“ გადმოკეთებული და „ბაიყუში“ —ორ-მოქმ. ვოდევილი, ავქს. ცაგარლისა.

Ჩვენმა ტრუპამ ამ უკანასკნელ დროს სახელი გაიტეხა. Თეატრში მოსიარულე საზოგადოება ადრეც სამართლიანად სჩიოდა და ახლა კიდევ უფრო სამართლიანად სჩივის პიესების უხეირობაზედ და მოთამაშეთაგან გულ-აცრუებით თავის საქმის შესრულებაზედ —სხვა რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენ აქტიორებსაო, როდესაც როლებსაც კი ვერ სწავლობენ რიგიანათაო!

Მართლაც, მხოლოთ ჩვენში გვინახავს, რომ საზოგადოება ამ გვარს რასმეზე უჩიოდეს სცენის მოღვაწეებს; მარტო ჩვენში ვხედავთ, რომ ქვეყანა უჩივის მოთამაშეებს როლების უცოდნელობაზედ და ეს უბრალო მხოლოთ სიზარმაცისაგან წარმომდგარი ნაკლულევანება, ვერ გაუსწორებინოსთ აქტიორებს.

Სამწუხაროთ უნდა გამოვაცხადოთ, ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენ აქტიორებს არ ჰქონიათ, არა თუ სიყვარული სცენისა და პატივისცემა დრამატიულ ხელოვნებისა, არამედ უბრალო თავ-მოყვარეობა...

Ბაბუნიას ქალის ბენეფისმა ცოტა არ იყოს გვანუგეშა, ცოტა არ იყოს იმედი აუძრა საზოგადოებას, რომ იქნება „მოძჯულდნენ“ ჩვენი აქტიორები, იქნება გაიგონ, რომ საზოგადოებისთვისაც და თვითონ იმათთვისაც სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, რომ სცენის მოღვაწენი პატიოსნად ეკიდებოდნენ საქმეს და კარგათ წაიყვანონ, რიგიან გზაზე დააყენონ ქართული სცენა.

Მართლაც, ორი ახალი პიესა ითამაშეს და ორივე ისე რიგიანად შეასრულეს, რომ თუ [illegible] ლო დარჩა, დარჩა [illegible] და არა მოთამაშეებზე. Როლები იცოდნენ, შინაარსი გაეგოთ ამ როლებისა და ყველანი ძმურად, ამხანაგურად ცდილობდნენ თავის როლის შესრულებასა.

Ორიოდე სიტყვა ამ ახალ პიესებზე.

„მაჭანკალი“, როგორც ამ შენიშვნის სათაურშიაც მოვიხსენიეთ, თ. Ილია Ჭავჭავაძის მოთხრობიდამ „კაცია ადამიანიდამ“ არის გარდაკეთებული. Საზოგადოთ შენიშნულია, მოთხრობიდამ და რომანებიდამ გადაკეთებული პიესები ვერ ხეირობენ სცენაზე: გადამკეთებელი ერთობ შებორკილია, ერთობ შევიწროებულია მოთხრობის ანუ რომანის შინაარსით, მოქმედ პირების ხასიათებით, ფაბულით და იმის ფანტაზიას ფართო გზა, თავისუფლება არა აქვს, რომ სცენისათვის გამოსადეგი, სრული პიესა შეადგინოს, ყველა ის პირობები დააკმაყოფილოს, რასაც სცენა თხოულობს. Ამიტომაც საუკეთესო რომანებისა და მოთხრობებიდამ საუკეთესო დრამატიული მწერლებიც კი ვერ ახერხებენ ხოლმე სასცენო პიესების გადაკეთებას. Ყველა ამ გვარ გადაკეთებულ პიესას ერთი რამ აუცილებელი თვისება აკლდება სცენისათვის: მოძრაობა, მოქმედება; ცარიელი სიტყვები, ცარიელი ლაპარაკი, რაც უნდა კარგი სიტყვები იყოს და რაც უნდა კარგი ლაპარაკი, სცენაზე არ გამოდგება.

Ეს ნაკლულევანება დაეტყო „მაჭანკალსაც“, განსაკუთრებით იმის პირველ მოქმედებას. Ბევრი კარგი სიტყვები, კარგი ლაპარაკია ამ პირველ მოქმედებაში, მაგრამ ერთი რომ ეს ლაპარაკი ერთობ გრძელი, გაუთავებელი გამოვიდა და მეორე, სრულიად არავითარი მოქმედება, მოძრაობა არ იყო. Ამ ორი მიზეზის გამო პირველი მოქმედება „მაჭანკალისა“

ზე, მეორე ბომბორიდგან. Უჯარმიდგან მოკიდებული ბომბორამდე და იქიდგან Თელავამდე გაყვანილია მშვენიერი გზა-ტკეცილი; ხოლო პირველი გზა ჯერ არ არის გაკეთებული და არც ელირსება გაკეთება, რადგან ცხენიან კაცს თუ შეუძლიან მასზე სიარული, თორემ ურმით არ შეიძლება: მაღლა გორაზე ადის.

Ჩვენ დავადექით გზა-ტკეცილს, რომელიც მთების ფერდობებზეა გაყვანილი, ხან ჩადის ძირს ღელეში, ხან ადის კიდევ მთის კალთაზედ. Ორივ ვიწრო უთ მამწყვდეულია მთებით. Ერთ სივიწროეში ხიდია მასზე გდებული. Ხიდზე გავედით და მეორე გორა რომ გავიარეთ, ჩვენ წინ გადიშალა კიდევ მთებით მომწყვდეული მინდორი, სადაც ბლოდა მრავალი ცხვარი და ფშავლები გაიძახოდნენ თავიანთებურ სიმღერას და უალერსებდნენ თავის ცხვრებს. Გავიარეთ ეს მინდორი და კიდეც მოახლოვდა საღამო. Ყველა ამ ადგილის ღელეები და მთები ხშირის ტყით არის მოცული; ტყეში ვნახეთ: მუხა, რცხილა, ნაკერჩხალი, წიფელი, თხილი და სხ. Უჯარმიდგან 20 ვერსის მანძილი რომ გავიარეთ, მივედით ბომბორში.

Ეს სოფელი ანუ ბანაკი სძევს აგრეთვე ქვაბის მსგავს ადგილში. Გარშემო აჰყუდებია მაღალი მთები. Შიგ სოფელში ჩამოდის ანკარა წყალი, უწინდელი „ძილმატის წყალი“, ეხლანდელი „რუსის წყალი“.

Ბომბორში ითვლება სულ 80 კომლი მცხოვრები რუსები, რომელთაც (თითქმის ყველას) ეძლევათ „პენცია“ (ას მანეთამდე თითოს). Ხალხი შესჩვევია ქართველებს. Სტუმრის მოყვარეობა იციან, როგორც ჩვენ. Ყველას აქვს აშენებული ლამაზი ფიცრული რამდენიმე ოთახიანი სახლი. Ისეთი სახლი არ არის, რომ სუფთა მებელით მორთული სასტუმრო არა ჰქონდეს, სადაც მგზავრს მოასვენებენ, აჭმევენ, ასმევენ, და ყველა ამისთვის სულ მცირე ფასს გამოართმევენ. Დიდი რამ არის დალალული მგზავრისათვის ამ გვარი თავ-შესაფარი ადგილი, მეტადრე ზამთარში და ავდარში!

Დალალული, დაქანცულები ჩვენ მოვედით ამ სოფელში, სადაც დიდის სიხარულით მიგვიღო ერთმა ჩემმა ნაცნობმა.

Ყველაფრით ეტყობა, რომ სოფელი მდიდარია. Ძროხა, ცხენი, ხარი მრავალი; სახსარი მათი ცხოვრებისა არის თივა. Ამათ აქვთ მთავრობისგან ნაჩუქარი დიდი სათიბავი ადგილები. Ჩემმა ნაცნობმა რუსმა მითხრა: წლეულს თივა ვერ გავყიდეთო, და 3,000 ფუთი ისე გვილპებაო. Შიგ სოფელში სიფაქიზე, სიწმინდე. Გზები მშვენიერი, მშრალი.

Იარაყაჟ. Გავემგზავრეთ ზევითკენ, „სამ-მთერიას“ მთისკენ. Მთელს ამ მთაზე გზა-ტკეცილია გაყვანილი; აქვე ახლოს არის შესანიშნავი ნანგრევები Ვერანის ციხისა და ეკკლესიისა.

Ბომბორიდგან რომ გამოვედით, თბილოდა, როგორც ზაფხულში, შუა წელზე მთისა რომ ავედით, წვიმა მოვიდა; სულ წვერზედ რომ ავედით, თოვლი მოვიდა. Ბომბორის ახლო ტყეები გაშლილიყო, შუა წელზე მთისა კოკორი გამოსვლოდა და წვერზე ჯერ არც კი გაკოკორიანებულ იყო. Ამნაირად, ერთსა და იმავე დღეს ვნახე სამი დრო: ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

Ორი საათის სიარულის შემდეგ ავედით „სამ-მთარიოს“ წვერზე (6,044 ფუტი), სადაც შარშან ზაფხულს იყო საფრანგეთის ელჩი შანზი, რომელმაც აქედგან გადაჰხედა შიგნით კახეთს დურბინდით, დიდხანს უყურებდა ტურფა ქვეყანას და ბოლოს წარმოსთქვა:

„—Აი მშვენიერი ქვეყანა! Აი დიდებული პანარამმა“!

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება).

მაყურებლისათვის ერთობ მოსაწყენა-რი შეიქნა.

მაგიერად მეორე მოქმედებამ ისე ჩინებულად და ცოცხლად ჩაიარა, რომ პირველისაგან მოგვრილი ძილი სრულებით დაგვიფთხო.

„მაჭანკალის“ შინაარსზედ ლაპარაკი საჭირო არ არის. ვისაც „ძაცია ადამიანი“ წაუკითხავს (და ვის არ წაუკითხავს), იმან კარგათ იცის ამ მოთხრობაში გამოყვანილი ჩვენი ცხოვრების სურათები და ჩვენი ახლანდელ-ძველებურ თავად-აზნაურობისა და სხვების ტიპები და ხასიათები.

მშვენიერად, ნამდვილ ხელოვნურად გამოხატა ჩვენებური მაჭანკლის ტიპი მობენეფისემ. ამ გვარ საქმეში, როგორც მოგეხსენებათ, ბაბუნიას ქალი არტისტია. ჩინებულად, ცოცხლად დაგვიხატა ახალგაზდა, ტეტია თავადიშვილი (თ. ლუარსაბ თათქარიძე) ნ. ჯორჯაძემ, რომელსაც ცოტა ენა რო არ აბრკოლებდეს (ზოგიერთ სიტყვებს გარკვევით ვერ ამბობს) და სცენაზე ჯეროვანი მიხვრა-მოხვრა ჰქონდეს, საუკეთესო აქტიორად დადგება. ვ. აბაშიძემ არ გააფუჭა თავის როლი (მოსე მგელაძე); მაგრამ ამ გვარი როლები (გაიძვერა თავადიშვილი) სრულებით საიმისო არ არის და ეს სცენაზე კიდეც დაეტყო.

„ბაიყუშში“ გამოხატულია ერთი ახალ-გაზდა ქართველი ქალი, რომელიც სულითა და გულითა ჩქარა გათხოვებას ნატრობს და ყველას ეხვეწება: გამათხოვეთ, გამათხოვეთ! ქმარი მინდაო! ამ ქალს (საფაროვისა) ჰყავს მამათ რევაზ თავქარიანი (ზ. მაჩაბელი), რომლის ხასიათი უხასიათობაში გამოიხატება: ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს; ხან ანგელოზივით წყნარია, ხან მეხივით მრისხანე, ილანძღება, იგინება, იცემება და იმასაც სცემენ. მთელი ინტრიგა, რამდენადაც გავიგეთ, იმაზე დამყარებულია, რომ ცოლი ელისაბედ (ბაბუნიას ქალი) და ქალი მოატყუილებენ ამ კაცს, ერთს ახალგაზდა კაცს აქტიორს პეტე ვარდკაჭაშვილს (ა. მოხევე), რომელიც რევაზს ეჯავრება, სხვა ტანისამოსს ჩააცმევენ, სახეს გამოუცვლიან და სასიძოთ წარუდგენენ; რევაზიც თანხმდება, ბევრი აყალ-მაყალისა და დავიდარაბის შემდეგ, და აძლევს ქალს.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, იმდენი ლანძღვა-გინება, იმდენი მკვახე სიტყვები და ცემა-ტყეპა, რამდენიც ამ ვოდევილშია, გაგონილა! ზაგონილა რომ ქართველის ოჯახში ცოლი ასე „უპრაგონოთ“ უტყაპუნებდეს თავში თავის მოხუცებულ ქმარსა! ან ქალი მამას ასე უპატიურად ექცეოდეს!

პიესაში უეჭველია სასაცილო სიტყვებია და ვოდევილური (ფარსული) მოძრაობა, მოქმედება; მაგრამ ის უეჭველად უნდა გაიწმინდოს იმ ერთობ ბლომად შეზავებულ უშვერ სიტყვებისაგან და ცემა-ტყეპისაგან, რომელნიც თუ არ აფუჭებენ მაყურებლის შთაბეჭდილებას, არაფერს რგებენ.

---

# განცხადებანი

## ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკისაგან

### გამოკრება

**ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გზ. წევრთა მე-IV მორიგის საზოგადო კრების პროტოკოლებიდან.**

საზოგადო კრება გახსნილ-იქმნა ბანკის ზედა-მხედველის კომიტეტის თავმჯდომარის ა. ი. ფიფინა-შვილის მიერ 30 აპრილს და განეგრძო 11 მაისამდე 1881 წლისა. უმცირესი რიცხვი წევრთა, სახელდობ 135, რომელთაცა ჰქონდათ 211 ხმა, დაესწრო 30 აპრილის სხდომაზე. ხოლო უმრავლესი რიცხვი 822, რომელთაცა ჰქონდათ 1111 ხმა, 10 მაისის სხდომაზედ.

კრებამ, მოისმინა რა მოხსენება და ანგარიში ბანკის გამგეობის მოქმედებათა 1880 წლისა, და აგრეთვე მოხსენებანი ზედამხედველი-კომიტეტისა იმ საგნებზე, რომელნიც ექვემდებარებოდნენ საზოგადო კრების განხილვას, დაადგინა:

1) გამგეობის ანგარიში 1880 წლისა და აგრეთვე განაწილება 1880 წლის წმინდა შემოსავლისა იმავე ანგარიშისამებრ დამტკიცდეს.

2) ჩვეულებრივ ბანკის ხარჯებად 1881 წლისა დაინიშნოს 28,294 მანეთი, ხოლო მოულოდნელ ხარჯების დასაფარავად 2,000 მანეთი.

3) ბანკის წმინდა შემოსავლიდამ 1880 წლისა, რომელიც წესდების მე 31 და 94 §§-ის ძალით დანიშნულიყო ქუთაისის გუბერნიის მემამულეების საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადიდოს: ა, ალექსანდრეს საზნაურო სასწავლებლის 1881 წლის ხარჯებად 8000 მანეთი; ბ, წმინდა ნინოს საქალო ქველ-მოქმედურის საზოგადოების შესაწევნად 1200 მანეთი გ, ქუთაისის სასწავლებლების ღარიბთა მოსწავლეთა ხელ-გამმართველის საზოგადოების სასარგებლოდ 1000 მანეთი, და ქუთაისის გიმნაზიის ღარიბთა მოსწავლეთა ხელ-გამმართველის საზოგადოების სასარგებლოთ 300 მანეთი, ე, ალექსანდრეს საზნაურო სასწავლებლის ღარიბთა მოსწავლეთა სასარგებლოდ 350 მანეთი, ვ, ქუთაისის გიმნაზიის კონვიქტების შესაწევნად 350 მანეთი, ზ, უმაღლესის სასწავლებლების ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევნად 1000 მანეთი და ჱ, სამის სტიპენდიის თანხის შესადგენად 1000 მანეთი,—სულ 13.200 მანეთი

4) ბანკის გამგეობას მიენდოს ფინანსთა სამინისტროში შუამდგომლობა, რომ ბანკის წესდების 7, 8, 9, 17, 20, 21, 24, 29, 30, 32, 35, 39, 52, 54, და 79 §§-ში მოხდენილ იქმნენ ის შეცვალებანი და დამატებანი, რომელნიც გამგეობის და ზედა-მხედველობის კომიტეტის წარდგინებაში აღნიშნულნი არიან.

მერმე კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნა: გამგეობის თავმჯდომარედ, რიგით გამოსასვლელი რ. ბ. დოდობერიძის მაგიერ, იგივე ნიკოლოზ ბესარიონის ძე დოდობერიძე; ზედა-მხედველის კომიტეტის წევრებად: ალექსანდრე ივანეს-ძე ფიფინაშვილი ერთ-ხმად, მიხაილ გიორგის-ძე გეგიძე, ივანე სიმონის-ძე მესხი და მიხაილ ერისთოს-ძე დარახველიძე; ხოლო ბანკის გამგეობის წევრთა კანდიდატათ, რიგით გამოსაცვლელის თავადის დ. ბ. წხეიძის მაგიერ, იგივე თ. დავით ბეჟანის-ძე წხეიძე ერთ-ხმად.

ბოლოს საზოგადო კრებამ გამოუცხადა მადლობა ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობას.

შემდეგ 11 მაისს ნაშუადღევის სამ საათზედ თავ-მჯდომარემ კრება დახურა.

(1—1)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბევინი ზეთისა) და სხვ. საავგუსტო მაკინტოში მოსახურეჭკის [illegible] განფეტების და ბა[illegible] მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰქავანას იგარები.

(100—80)

---

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—80)

---

გამოვიდა „**დრო არის საქმეს შეუდგეთ**“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „**ვაი მართალთა!**“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქოროვის წიგნის მაღაზიაში; გორს მარიამ კერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს ზერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური.

(5—4)

---

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერთალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრების“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება ის წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54^1/_2$ და $43^1/_2$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27^1/_2$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ქქვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $^2/_3$% სათადარიგო და უჩვეულებრივო თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54^1/_2$ წლით აღებულს ვალში—$^1/_8$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43^1/_2$ წლით აღებულს ვალში—$^1/_4$%, $27^1/_2$ წლის ვალში—$^3/_4$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1^1/_2$%.

5) ვისაც ჰსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჰსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $^3/_4$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს.

(10—7)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 3 Іюня 1881 г. Типографія С· Меликова· ზამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.